სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის
რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (შემდგომში ,,ცენტრი“) რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო (შემდგომში ,,საკონსულტაციო საბჭო“) შექმნილია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 დეკემბერის №605 დადგენილების, მუხლი 5, პუნქტი 2-ის საფუძველზე, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის 107-ძ 23.06.2015 (ცვლილებები 110-ძ 25.06.2015) ბრძანებით;
1.2. საკონსულტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს: საქართველოს კანონით „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენართა დაცვის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 დეკემბერის №605 დადგენილებთ, ამ დებულებით და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე;
1.3. საკონსულტაციო საბჭოს წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით (50%+1).

მუხლი 2. საკონსულტაციო საბჭოს მიზანი და ამოცანები

2.1. საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს სურსათის უვნებლობის სფეროებში ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების აგენტების ალბათობისა და სიმძიმის დამოუკიდებელი მეცნიერული შეფასების საფუძველზე დასკვნის მომზადება;
2.2. აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად საკონსულტაციო საბჭოს წევრთა (მათ შორის მოწვეული მეცნიერები) შესაბამისი დარგის მეცნიერები იხილავენ, აანალიზებენ და ითვალისწინებენ რა საერთაშორისო ოფიციალური ინსტიტუციების მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევითი სამუშაოების შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში არსებული შესაძლებლობების ფარგლებში წარმოადგენენ წინადადებას სამეცნიერო-კვლევითი პროცედურების ჩატარების შესახებ;
2.3. საკონსულტაციო საბჭოს მიერ მომზადებული ძირითადი დასკვნა წარედგინება ცენტრის რისკის შეფასების სამსახურს სათანადო რეკომენდაციების მოსამზადებლად;
2.4. სამეცნიერო დასკვნა ეფუძნება ხელმისაწვდომ, მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, მონაცემებს და ხორციელდება დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების გათვალისწინებით.

მუხლი 3. საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციები

3.1. რისკის მართვის ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი, სურსათში არსებული პოტენციური საფრთხეების განხილვა;
3.2. რისკის შეფასების სამსახურის მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მოძიებული, მეცნიერულად დასაბუთებული შედეგებისა და მონაცემების განხილვა;
3.3. სურსათის ეროვნული სააგენტოსა ან/და სხვა პირების მიერ მონიტორინგის პროგრამით განხორციელებული ლაბორატორიული კვლევების შედეგების განხილვა-გაანალიზება;
3.4. სამეცნიერო დასკვნის განხორციელების მიზნით პროფილურ მეცნიერ-ექსპერტების შერჩევა და რისკის შეფასების პროცესში ჩართვა;
3.5. სურსათში არსებულ პოტენციურ საფრთხეებთან დაკავშირებით სამეცნიერო დასკვნის მომზადება;
3.6. ევროპულ და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან სამეცნიერო თანამშრომლობა.

მუხლი 4. საკონსულტაციო საბჭოს წევრები

4.1. საკონსულტაციო საბჭო კომპლექტდება სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ძირითადი, ასევე გარეშე ორგანიზაციებიდან მოწვეული შესაბამისი დარგის მეცნიერებით.

მუხლი 5. საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

5.1. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უბრალო უმრავლესობა. საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მან მიიღო ხმების ნახევაზე მეტი. სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრით. საკონსულტაციო საბჭოს სხდომა დოკუმენტირდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საკონსულტაციო საბჭოს თავჯდომარე და მდივანი.

მუხლი 6. საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე

6.1. საკონსულტაციო საბჭოს თავჯდომარეს 2 წლის ვადით ირჩევენ საბჭოს წევრები ხმების უბრალო უმრავლესობით (50%+1);
6.2. ვადის ამოწურვის შემდგომ საბჭოს თავჯდომარე წარმოადგენს შემაჯამებელ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;
6.3. საკონსულტაციო საბჭოს თავჯდომარე განსახილველი თემატიკიდან გამომდინარე სხდომაზე იწვევს შესაბამის დარგის მეცნიერებს;
6.4. საკონსულტაციო საბჭოს თავჯდომარე:
6.4.1. უძღვება საბჭოს სხდომებს;
6.4.2. ორგანიზებას უწევს საბჭოს მუშაობას;
6.5. საკონსულტაციო საბჭოს თავჯდომარე დაკავებული თანამდებობიდან შეიძლება განთვისუფლებულ იქნას:

6.5.1. პირადი სურვილით;
6.5.2. ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების გამო;
6.5.3. მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;
6.6. საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს საბჭოს თავჯდომარის მიერ წარდგენილი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ერთ-ერთი წევრი (თავმჯდომარის მოადგილე).

მუხლი 7. საკონსულტაციო საბჭოს რეკვიზიტები

თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. #6
სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი